საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 21 0000497867

28/05/2021

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. 2021 წლის 17 თებერვალს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-1623 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის №128596) სააკრედიტაციო განაცხადი „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 მარტის №173514 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის №238597 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 26 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 19 აპრილს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		√		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 13 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მე-2 სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და 5.3 ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციონაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით 2-ის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს კრედიტაცია, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის გზით
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 28 მაისის №497787 სხდომის ოქმის №-01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

4.1 გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულებით და მისი პერიოდული შეფასების პროცედურა (ყველა სავალდებულო სასწავლო კურსისთვის, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომისთვის
4.2 რეკომენდირებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დეტალური წესის ამსახველი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ნაშრომის სტრუქტურა და სხვა ტექნიკური მოთხოვნები
4.3 რეკომენდირებულია, გადაიხედოს „თემატური ჯგუფების" დალაგების მოდელი (კერძოდ, ორგანიზაციული ფსიქოლგიიაში შემავალი თემების რევიზია;
4.4 რეკომენდებულია, გაიზარდოს ფაიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქოდე აკადემიური პერსონალის რაოდენობა; აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციები
4.5 რეკომენდირებულია, აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი.
4.6 რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა, რათა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად დაადასტუროს სამეცნიერო კომპეტენცია.
4.7 რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერიოდულად შეაფასოს და დოკუმენტურად ასახოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული;
4.8 რეკომენდირებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება.

რჩევები

ა) სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არჩევით საგანთა ჩამონათვალში ისტორიის გარდა ერთად, წარმოდგენილი იყოს მათემატიკა, ვინაიდან პროგრამაში გაძლიერებულია სწავლება კვლევის მეთოდების და მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით;
ბ) სასურველია, „მონაცემთა დამუშავება 2"-ის შინაარსი შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;
გ) სასურველია, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და პროგრამის განვითარებისთვის მათემატიკური სწავლების გაძლიერება.
დ) სასურველია, გარკვეული არჩევითი კურსების (ფსიქოთერაპიის საფუძვლები; პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში) სწავლის შედეგები მეტად შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკალავრო საფეხურის აღმწერებს;
ე) სასურველია ყველა საგნის სილაბსუში მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
ვ) სასურველია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებისთვის მათი კვლევით პროექტებში ჩართვა;
ზ) სასურველია, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებშიც იყოს აღნიშნული, რაც სტუდენტებისათვის დასახელებულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების კიდევ ერთი ეფექტური სტრატეგია იქნება;
თ) სასურველია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულმა პირებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებით, მობილობით სარგებლობა წაახალისონ და მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 28 მაისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში 4 წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ